

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების
კათედრა

რუსუდან ელიზბარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

საქართველოს კურორტების გეოგრაფია, მოდელირება
და ლანდშაფტური დაგეგმარება

ხელმძღვანელი: ასოცირებული
პროფესორი გიორგი მელაძე

თბილისი, 2016

თემის აქტუალობა

საქართველო მსოფლიოში არაერთი მაჩვენებლით გამოირჩევა. მათ შორისაა ბუნებრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის მაჩვენებლები, კურორტების რაოდენობა და ისტორიული ღირსშესანიშნაობები, ტრადიციები და კულტურა. ეს მაჩვენებლები მკაფიოდ მეტყველებს ჩვენი ქვეყნის მაღალ რეკრეაციულ მიმზიდველობაზე, რასაც ტურისტთა რაოდენობის ყოველწლიური ზრდა და მათი გეოგრაფიის გაფართოება ადასტურებს.

რეკრეაციული რესურსებიდან განსაკუთრებული მიმზიდველობით კურორტები გამოირჩევა. საქართველოში 100-ზე მეტი კურორტი და საკურორტო ადგილია, რომელთა ნაწილის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მახასიათებლები მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

საქართველოში ტურიზმის განვითარება კურორტების ყოვლისმომცველ შესწავლას მოითხოვს. მხოლოდ გეოგრაფიის მეშვეობითაა შესაძლებელი წარმოჩინდეს ამა თუ იმ კურორტის ბუნებრივი გარემოს და რეკრეაციული დანიშნულების ფასეულობები, რაც უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის მათ.

კურორტოლოგიაში ცნობილია არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც კურორტების დასახასიათებლად, გარდა სამკურნალო მახასიათებლებისა, მოცემულია მათი სხვა რამდენიმე გეოგრაფიული მაჩვენებელი: მდებარეობა, ადგილის სიმაღლე და ჰაერის ტემპერატურა. ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, ამცირებს კურორტის რეკრეაციული ფასეულობების და ინფრასტრუქტურული მახასიათებლების წარმოჩენის ან გამოყენების შესაძლებლობებს.

ნაშრომის მიზანია საქართველოს კურორტების გეოგრაფიული, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურული მახასიათებლების წარმოჩენა, მათი მოდელირება და ლანდშაფტური დაგეგმარება.

ნაშრომის მიზანთან დაკავშირებულია შემდეგი **ამოცანების** გადაწყვეტა:

1. საქართველოს კურორტების გეოგრაფიული, ბუნებრივი, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურული მახასიათებლების შესწავლა, რაც პირველად ხორციელდება;
2. კურორტის მოდელირება გეოგრაფიული, ბუნებრივი, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით;
3. კურორტ წყალტუბოს ლანდშაფტური დაგეგმარება ლანდშაფტური გეგმის შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ნაშრომი შედგება 4 თავისგან.

პირველ თავში განხილულია თეორიული დებულებები, კერძოდ: საკურორტო-რეკრეაციული რესურსების არსი და მნიშვნელობა, საკურორტო-რეკრეაციული გეოგრაფიის ადგილი გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში, კავშირი სხვა მეცნიერებებთან, საკურორტო-რეკრეაციული გეოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი ტერმინების განმარტება,

რეკრეაციული ტერიტორიების ძირითადი ტიპები, ტერიტორიის რეკრეაციული პოტენციალის, ტევადობის და მიწზიდველობის შეფასების ზოგიერთი აქტუალური საკითხი, ადამიანის ეკოლოგია და გარემო ფაქტორები (განსაკუთრებით ბუნებრივი გარემოს ელემენტები), ბუნებრივი გარემოს ელემენტების რეკრეაციული შეფასება (მათ შორის - რელიეფი, ჰავა, მცენარეულობა, წყლის ობიექტები (რაც გამოყენებულ იქნა მე-2 თავში - კურორტების გეოგრაფიული მახასიათებლების შეფასებისას), ისტორიულ-კულტურული რეკრეაციული რესურსების შეფასება, რეკრეაციული ობიექტების შემადგენელი ნაწილები (რაც გამოყენებულ იქნა მე-3 თავში - კურორტის მოდელის შედგენისას), რეკრეაციული ობიექტები და გარემოსდაცვითი პრობლემატიკა, კურორტის არსი და ძირითადი ტიპები (ბალნეოლოგიური, კლიმატური, შერეული ტიპის), საკურორტო-რეკრეაციული რესურსების გამოყენების გეოგრაფიული თავისებურებანი (ბუნებრივი გარემოს საკურორტო მახასიათებლების შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა ქულათა (ბალების) სისტემა ან ხარისხობრივი მაჩვენებელი (მაღალი, საშუალო, დაბალი), საკურორტო მეურნეობის გეოგრაფიული თავისებურებანი (ევროპაში, ამერიკაში, აზიაში, კავკასიაში), კურორტების და საკურორტო ადგილების სამართლებრივი რეგულაციები ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები.

მეორე თავში განხილულია საქართველოს 55 კურორტის გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურული თავისებურებანი შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: **რეკრეაციული** ფასეულობები (ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები, მკურნალობის სახეობა, მიმდებარე ბუნების ძეგლები და დაცული ტერიტორიები), **ისტორიულ-კულტურული** ფასეულობები (ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიახლოვის მიხედვით), **გეოგრაფიული და ბუნებრივი** თავისებურებანი (მდებარეობა, რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, კლიმატი, წყლები, მცენარეულობა, ლანდშაფტები), **ინფრასტრუქტურული** თავისებურებანი (დაშორება მსხვილი დასახლებული პუნქტიდან (აეროპორტიდან).

მესამე თავში განხილულია გეოგრაფიული მოდელირების არსი, მნიშვნელობა და თავისებურებანი. შედგენილია კურორტის ზოგადი მოდელი შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

1. **სამედიცინო**, რომელიც შედგება:

- 1.1. ბალნეოლოგიური ფაქტორების და
- 1.2. კლიმატური სამკურნალო ფაქტორებისგან;

2. **გარემო**, რომელიც შედგება:

- 2.1. ბუნებრივი და
- 2.2. ისტორიულ-კულტურული ფაქტორებისგან.

აქ შედის ლანდშაფტის ბუნებრივი მახასიათებლები (რელიეფი, ჰავა, წყლები, მცენარეულობა და სხვ.), ლანდშაფტის ეკოლოგიური მდგომარეობა (ტრანსფორმაციის ხარისხი), ლანდშაფტის კომფორტულობა (დისკომფორტულობა), რაშიც იგულისხმება პეიზაჟის ეფექტურობა და ხედვის

არეალი, ისტორიულ-კულტურულ ობიექტთა რაოდენობა და მნიშვნელობა, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების რაოდენობა და მნიშვნელობა);

3. სამეურნეო, რომელიც შედგება:

3.1. არსებული ინფრასტრუქტურის,

3.2. მომსახურე პერსონალის,

3.3. მმართველობითი (ადმინისტრაციული) ორგანოებისგან ფაქტორებისგან).

ამრიგად, კურორტის გეოგრაფიული მოდელის შემადგენელი ნაწილი შეიძლება გახდეს **3 ძირითადი და 7 დამატებითი** ერთეული, რომელთა დამოკიდებულება ქმნის მოდელის სისტემას.

მეოთხე თავში განხილულია ლანდშაფტური დაგეგმარების ის თეორიული საფუძვლები, რომლებიც ეხება ლანდშაფტური გეგმის (საშუალომასშტაბიანი დაგეგმარების) შედგენის ეტაპებსა და ფორმებს. დაგეგმარების ობიექტად განხილულია კურორტი წყალტუბო, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობისაა და ერთდროულად მოიცავს ბალნეოლოგიურ, კლიმატურ და რეკრეაციულ ფასეულობებს. ლანდშაფტური დაგეგმარების შედეგად გამოყოფილია კურორტის ფუნქციური ზონები (რესურსწარმოებითი, გარემოსდაცვითი და რეკრეაციული) და განსაზღვრულია ინტეგრირებული გეგმარებითი მიზნები (შენარჩუნება, განვითარება და გაუმჯობესება).

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია 60-მდე სამეცნიერო ლიტერატურა, წარმოდგენილია 2 ათეულამდე ფოტომასალა და შედგენილია 10-მდე რუკა.